საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

მოგახსენებთ, რომ შპს „ბლუ გოლდ ჯორჯია“ ს/კ 405435471, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჭანიეთში, საწარმოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე გეგმავს შავი მოცვის პლანტაციის გაშენებას.
ბაღის გაშენება სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსების და შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში იგეგმება.
პლანტაციის გაშენება-მოწყობისათვის და შემდგომი ექპლოატაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მორწყვის პროცესს, როგორც პლანტაციის განაშენიანებისას ასევე პლანტაციის ექპლოატაციისას, განსაკუთრებით, გვალვის პერიოდში.
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმო გეგმავს მოაწყოს წვეთოვანი სარწყავი სისტემა და მორწყვისათვის საჭირო წყალი ამოიღოს ზედაპირული წყლის ობიექტიდან, კერძოდ, მდინარე ჩოლოქიდან.
ვინაიდან ზემოთ აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის პირველი პუნქტის, 1.3-ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე სამინისტრო ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ . საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.
წარმოგიდგენთ თქვენი N 21/4367, 07.06.2023 წერილის შესაბამისად დაკორექტირებულ დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლებს.

დანართი N1 – „დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები;

პატივისცემით,

კარლო ალავიძე

შპს „ბლუ გოლდ ჯორჯია“ -ს დირექტორი

საკონტაქტო პირი- ტელ: 577992959

სსიპ გარემოს ეროვნული
„12“ 06 2023
№ 5319